

899.962-1

5 - 211

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ პატარიძე

კაშადოკიელთა ჰექსემერონული ეგზეგეტიკა  
ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში

10.01.01. – ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი  
2004

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული  
ლიტერატურის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი ხინთიძიებები ელგუჯა  
ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი  
(10.01.01)

- ოფიციალური ოპონენტები:
1. კიკნაძე ზურაბ  
ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი  
(10.01.09).
  2. ბეგარაშვილი ქეთევან  
ფილოლოგიის მეცნიერებათა  
კანდიდატი, დოც. (10.01.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 200 წლის „19“ „ოქტომბერ“ საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (P 10.10.  
№ 4) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო  
ბიბლიოთეკაში.

მისამართი: 0143 თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2.

ავტორუფერაცი გაიგზავნა 2004 წლის „11“ „ხ“

სადისერტაციო საბჭოს  
სწავლული მდივანი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

ი. გაბიძე /ნ. გაბიძე/

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა: ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად  
საქართველოში კაპადოკიელი მამების შრომები ინტენსიურად  
ითარგმნებოდა. ასე შემოვიდა და დამკვიდრდა შეხედულებები  
ქრისტიანული კოსმოგონიის, ეთიკისა და ესთეტიკის, ესქაფო-  
ლოგიის, ასევე იკური მოძღვრების კარდინალური საკითხების  
შესახებ. ეს სფერო დიდი ხანია მრავალმხრივი მეცნიერების  
კვლევის საგანია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღემდე საგან-  
გებოდ შესწავლილი არ ყოფილ კაპადოკიელთა ჰექსემერო-  
ნული სწავლება, ანუ ის ეგზეგატიკური მემკვიდრეობა, რო-  
მელმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქართული ქრისტიანული  
აზროვნების განვითარების გზა და ამ თვალსაზრისით დიდი  
მნიშვნელობა შეიძინა ქართული მწერლობის სპეციული  
ფართო სპექტრით აღქმისათვის.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი თემის აქტუალობას განა-  
პირობებს ის გარემოებაც, რომ მეცნიერები კვლევის ამ  
ეტაპზე საჭიროა ძველი ქართული მწერლობის ძეგლების შეს-  
წავლა უკირატესად მასში დასმული თეოლოგიური პრობლე-  
მატიკის არსის გამოჩენით და შემდეგ სწორედ ამ პოზიციიდან  
ქართულ ლიტერატურასთან მიმართებების ძებნით. სწორედ  
ამ კუთხით არის კვლევა წარმართული სადისერტაციო ნაშ-  
რომში: შესწავლილია კაპადოკიელი მამების მიერ დასმული  
ჰექსემერონული პრობლემატიკა, დანახულია მათ კონცეფცი-  
ებს შორის ჩენადი პრინციპები განსხვავებანი და სწორედ  
ამის შემდეგაა განხილული აღნიშნულ თავისებურებათა შე-  
საძლო მიმართებები ძველი ქართული სასულიერო მწერლო-  
ბის ძეგლებთან. ამ გიას კვლევამ შესაძლებელი გახადა  
ძველი ქართული მწერლობის ძეგლების თეოლოგიური პრობ-  
ლემატიკის გზი ასპექტის ახალი კუთხით წარმოჩენა.

კვლევის საგანი და მიზანი: სადისერტაციო ნაშრომი მიზნად  
ისახავს კაპადოკიელი მამების, გრიგოლ ნისელისა და ბასი-  
ლი კესარიელის ჰექსემერონული შრომების რელიგიურ-ფი-  
ლოსოფიური თემატიკის მიმოხილვას და მისი გავლენის დად-  
გნას ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაზე. კერძოდ, შეს-